



ონის მუნიციპალიტეტის მერია

ონის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანება

ქ. ონი



N 174
06/02/2018

174-02-4-201802061536



ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა 2018 წლის საგაზაფხულო გაწვევის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის პირველი პუნქტისა და 22 მუხლის, „სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2018 წლის 25 იანვრის N36 დადგენილების თანახმად სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა ორგანიზებულად გაწვევის მიზნით **ვბრძანებ:**

1. ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2018 წლის 26 იანვრიდან 2018 წლის 30 ივნისამდე განხორციელდეს მოქალაქეთა საგაზაფხულო სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევა;

2. ონის მუნიციპალიტეტის გამწვევ უბანზე გამოცხადებას ექვემდებარება 18-დან 27 წლამდე ასაკის მოქალაქე, რომელსაც არა აქვს სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევისაგან გათავისუფლების ან გადავადების უფლება;

3. ყველა მოქალაქე, რომელიც ექვემდებარება სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევას, ვალდებულია გამოცხადდეს მისამართზე: ქ.ონი დავით აღმაშენებლის მოედანი N1(პირველი სართული) ზუსტად დანიშნულ რიცხვში და დროს, რომელიც მითითებულია პერსონალურ უწყებაში. პირი, მოქალაქე, რომელმაც ვერ მიიღო უწყება, ვალდებულია გამოცხადდეს 2018 წლის 30 ივნისამდე და ხელზე იქონიოს პირადობის დამადასტურებელი საბუთი;

4. ყველა გასაწვევი ასაკის მოქალაქე, რომელიც ექვემდებარება სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევას და იმყოფება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დროებით, დაუყოვნებლივ უნდა დაბრუნდეს მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე და გამოცხადდეს იმ მუნიციპალიტეტის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურში, სადაც იმყოფება აღრიცხვაზე;

5. ის მოქალაქე, რომელიც თავს აარიდებს გამწვევ უბანზე გამოცხადებას, პასუხს აგებს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

6. შინაგან საქმეთა სამინისტროს ონის რაიონულმა სამმართველომ აღმოუჩინოს სამსახურს დახმარება იმ წვევამდელზე, რომელიც შეგნებულად თავს აარიდებს გამწვევ კომისიაზე გამოცხადებას;

7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;

8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ამბროლაურის რაიონულ სასამართლოში (მის. ქ.ამბროლაური, კოსტავას ქუჩა N13) ერთი თვის ვადაში, საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“-ს მე-8 თავის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად.

ემზარ საბანაძე



მუნიციპალიტეტის მერი